

572
1972

საქართველოს
საბავშვო
საზოგადოებრივი
საბიბლიოთეკო
სამსახური



1972 ՆՅՅՈՆԵԹ ՈՆՑ

საბავშვო



ანორ აბულაშვილი

ზაფხულის პაპანაქებამ—
იძალა იგრის ჭალეზშიც
და შუადღისას იორში
ჩარეკა ყველა კამეჩი.

ნახტი პლ. აბოშაძისა

წყალში შეცვივდნენ ბიჭებიც
ყიჟინით, დგაფუნ-დგაფუნით.
გალმა-გამოღმა ნაპირზე
იცინის ცხელი ზაფხული.



სსსს-ის ღრუბა

ზაფხული

ელენა გლაგინინა

მზეო, მზეო, ბრძღვიაღაჲ,
 გზაენი სსიჲთა ბარათებს,
 დაბრძანდები მეფურად,
 ანათე და ანათე...

ვით ტოროლა ღრუბლებში,
 შედი, შეინავარდე,
 დედაძიწა გეტკითბე,
 გაძო, გამონანთე!

მზეო, მზეო, ბრძღვიაღაჲ,
 გზაენი სსიჲთა ბარათებს,
 ბაღსა აგვიხსნასე,
 ანათე და ანათე!

არ მოაკლო აღერსი
 სოფლებსა და ქაღაქებს,
 გამოცურდი ღრუბლიდან,
 გაძო, გამონანთე!

ამოგორდი მთებიდან,
 ხან კვიან და ხან ადრე,
 გაგეხსარე ბაეშეები,
 ანათე და ანათე!

თარგმნი ჯ. გომიანაშვილმა

ნახატი ზაურ ლეისაძისა





ორი მზა

ს. კობლავი

ნახატი მანანა მორჩილაძისა

ერთ ტყისპირა ქოხში ბატარა ბეკეკა ცხოვრობდა. ყველაზე მეტად მწვანე ბალახი, ყვავილები და მზის სხივებთან თამაში უყვარდა. დახტოდა მინდორში, დაკუნტრუშობდა და ერთი ბეწო კულს აქიცინებდა.

ლრუბლიან დღეს კი ვერ იცნობდით ბეკეკას; მოიწყენდა, დაღონდებოდა... ერთხელ მთელი სამი დღე წვიმდა. ქოხიდან გარეთ ვერ გამოდიოდა. იჯდა ფანჯარასთან და ნაღვლიანი თვალებით გამყურებდა სველ ბალახს, ბილიკებზე დამდგარ გუბებებს.

და აი, ბეკეკას ქოხის წინ ერთმა გაწულულმა ქათამმა გაიარა, თვალცრემლიანი ბეკეკა რომ დაინახა, გაჩერდა და ჰკითხა:

— რა გატირებს, ბეკეკა?!

— მზე მომენატრა, მე ხომ ყველაზე ძალიან მზე მიყვარს,—მიუგო ბეკეკამ და უფრო აუჩუყდა გული.

— შენც ადექი და შენი ფანჯრის წინ მზესუმზირა დათესე, მზესუმზირა გაიზრდება, ყვავილს მზესავით გაშლის და საკუთარი მზე გექნება,—ურჩია ქათამმა.

ბეკეკამ არ დაუჯერა, მაგრამ მინც ჩაფლო მიწაში მზესუმზირას მარცვალი. რა ვიცი, იქნებ მართლა ამოვიდეს მზე ჩემი ფანჯრის წინაო, გაიფიქრა და დაწვა დასაძინებლად.

მეორე დღით მართლაც მოხდა სასწაული. ბეკეკამ აღრიანად გაიღვიძა, დაინახა ქოხში მზის სხივი შემოკრილიყო. მაშინვე ფანჯარასთან მიიბრინა და რას ხედავს! თვალები მოიფშენიტა, ვგონა ეჩვენებოდა. მაგრამ არა, ნამდვილად ორი მზე უცინოდა...

ერთი მზე მალდა, ლურჯ, უღრუბლო ცაზე ეკიდა, მეორე კი მის ფანჯრის წინ მალალღეროზე შემართულიყო და უცინოდა.

ეს იყო მზესუმზირას დიდი, ყვითელი ყვავილი, რომელიც მართლაც ძალიან ჰგავდა მზეს.

რა ჭკვიანი ყოფილა ქათამი, რამდენი რამ სკოდნია, გაიფიქრა ბეკეკამ და მზესუმზირას ყვავილს მოეფერა.

მის შემდეგ ბეკეკა მოწყენილი და თვალცრემლიანი აღარავის უნახავს, რადგან წვიმიან ამინდში საკუთარი მზეს უყურებდა, უცინოდა, ვთამაშებოდა. ძველებურად დახტოდა მწვანე მინდორზე და ბაწაწინა კულს აქიცინებდა.

თარგმანი მაკრი გვალახიანმა

თავი იბარტლა



საქართველოს სსრ-ის ლიტერატურა

ალექსი ვაშლი

გრიცო უოჟედდე იკვიანებდა სკოლა-ში, — დილით ადგომა უჭირდა.

დაკვიანებული ხან რას მოიძიებდა, ხან რას:

ერთხელ თურმე ბებიამ არ გააღვიძა, მეორედ — ფეხსაცმელი ვერ იწოვა.

დღეს კი იგი ისე ადრე მივიდა სკოლა-

ში, თანაკლასელები სასტად დარჩნენ.

გრიცოს ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა და თავს იმართლებდა:

— შესობლის ძაღლის ბრალია, აიწუვიტა და სკოლაშივე სულ მარბენინა, — თან ძლივს სუნთქავდა.

თორემანი პელი ნაკრთილია





სიზმარმა უკველა



ნახატი ა. ჭუკოძის

იყო და არა იყო რა, იყო ერთი შავ-ტუხა ყმაწვილი. ასე, ათიოდე წლისა თუ იქნებოდა. სულ შურდულს ისროდა, არც ძალი გაეცდებოდა, არც—კატა. ბელურა ხომ არ გაეცდებოდა და არა. დაუმიზნებდა შურდულს და—ძინ!—ჩატყვებოდა მინა... ბელურა კი ჭიკ-ჭიკ-ჭიკ!—დამცინავად აჭიკჭიკებოდა.

— ვერ მოგართვეს, მინას მოახვედრე! ჭიკ-ჭიკ!

არც თამბაქოს წვევას ვერიგებოდა ეს ყმაწვილი, უწმაწურადაც იგინებოდა, ფულბანასაც თამაშობდა და ქუჩაში თავის მასწავლებელს რომ შეზგდებოდა, არ ესაღმებოდა.

მოახლოვდა ახალი წელი...

საახალწლოდ სკოლაში ნაძვის ხეს ამაზაგებდნენ, საუკეთესო მოსწავლეებს საჩუქრები ელოდათ, ურჩებს კი, აბა, ვინ აღირსებდა რამეს.

ნაძვის ხეს ჩვენი ყმაწვილიც ელოდა, მაგრამ საჩუქრის მიღების იმედი როდი ჰქონდა.

გაბრაზებული დაწვა ახალი წლის წინა ღამეს დასაძინებლად.



საქართველო
საბავშვო ჟურნალი

ის-ის იყო ჩაეძინა, რომ მაშინვე სიზმარი ნახა და, მერე როგორი სიზმარი!

შავ ყურშას თათებში შურდული ეჭირა და მას უმიზნებდა.

— ყურშავ, არ მესროლო, მეტკინება!

განა მე არა მტკიოდა, რომ მესროლი! უნდა გესროლო!

— არ მესროლო,—ტრის ბიჭუნა,—მეტს აღარ ვიბამ!

— კარგი,—ეუბნება ყურშა,—არ გესერი, მე შენზე კეთილი ვარ, არ გესერი!

ის იყო ყურშა გაიქცა, რომ უცებ, სად იყო



და საღ არა, კატა გამოჩნდა. მასაც შურდული ეპირა და ყმაწვილს უმიზნებდა.

— ეჭვ, ფისუნია, ფისო, არ მესროლა, მეც არასოდეს არ გესვრი.

— ჰოო, — კმაყოფილებით უღვაშებზე გადაისვა კატამ ხელი და მზიარული კნავილით გაიქცა.

მერე ბელურებმა ჩამოუფრინეს ბიჭუნას, მერე ჩამსხვრეული მინები წამოვიდნენ მისკენ.

ამდენს უკვე ვერ გაუძლო პატარამ და მთელი ხმით წამოიყვირა: — დედააა! — და, გამოელვობა კიდეც.

დედა მივიდა, დაამწვიდა. ყმაწვილი კი ეუბნება:

— დედა, შურდულს გადავაგდებ, ყველაფერს დაგიჯერებ, კარგად ვისწავლი, თავაზიანი ვიქნები და არავის ვაწყენინებ!

— აბა, შენ იცი! — უთხრა დედამ და ახალი წედი მიუღოცა, მოეხვია და აკოცა.

საახალწლო საჩუქრები კი ჩვენმა ბიჭუნამ ზუსტად ერთი წლის თავზე მიიღო, ნაძვის ხეზე, როგორც საუკეთესო მოსწავლემ.



ბალონის სსრ-ის დროს



საქართველოს
მწერთა კავშირი

ბერიის ბილიკი

მინილ პარიკი

ნახატმა პ. ლუპინიანი

განთიადისას პარტიზანებმა ფაშისტების გარნიზონი გაანადგურეს. ვერც ერთმა ფაშისტმა ვერ მოახერხა ცეცხლის რკალის გარღვევა.

პარტიზანების შტაბში ტყვეები მოიყვანეს. რაზმის მეთაურმა ტყვეებს საბუთები გაუხინჯა. ჰიტლერული ჯარისკაცის დლიური ჩაუვარდა ხელში. მეთაურმა გადაშალა და ერთ გვერდზე შეაჩერა თვალი: „რუსებს ვერ მოვერევით, რადგან ზაფხვებიც კი იზრძებიან და გმირებივით იღუპებიან“. მეთაური დაინტერესდა და ტყვეს გამოკითხვა დაუწყო: ზაფხვებში ვის გულისხმობ?

— სულ პატარა ბიკი იყო, — დაიწყო ტყვე ჯარისკაცმა, — თორმეტი წლისა თუ იქნებოდა. სოფელ ბაიკიშში ცხოვრობდა, რუჟანთან ახლოს. ჩვენმა ოფიცერმა იცოდა, იგი პარტიზანების მკაცვრივ იყო და უბრძანა, ჩვენი რაზმი პარტიზანთა ბანაკში მიიყვანეო. ბიკუნამ კი ქანკობში შეიტყუა ისინი და ყველანი დაიღუპნენ. მხოლოდ მე დავადრევი თავი იმ ჯოჯოხეთს.

პარტიზანებმა მღუმარედ მოიხადეს ქუდები. იცოდნენ, რომ მათი მკაცვრივ ბაიკიშში ტიხონ ბარანი იყო. პარტიზანებს ეგონათ, როცა ფაშისტები ტიხონის მშობლიურ სოფელს ანადგურებდნენ, თანასოფლელებთან ერთად, ისიც დახვრიტეს.

მაგრამ საქმე თურმე სხვაგვარად ყოფილა. დარია და მაქსიმე ბარანებს ექვსი შვილი ჰყავდათ. მათი სახლი ზედ რუჟანის ტყის პირას იდგა.

როგორც კი ფაშისტებმა ბელორუსია დაიპყრეს, პარტიზანებმა ამ სახლში სტამბა მოაწყეს. მესერზე და სახლების კედლებზე ყოველდღე ჩნდებოდნენ პროკლამაციები. ამ ფურცლებს ფაშისტების კომენდატურის კარზეც კი აკრავდა ვიღაც. გესტაპოელები და პოლიციელები თავს არ იზოგავდნენ, რომ როგორმე დაეჭირათ იგი. პარტიზანებმა სტამბა ულრან ტყეში, თავიანთ ბანაკში გადაიტანეს. გაქრნენ სოფლიდან მაქსიმე ბარანი და მისი უფროსი ვაჟები. პატარა ტიხონი მზვერავი და მკაცვრივ გახდა. ფეხზე ქალამნებით, ზურგზე ტომარამოკიდებული დადიოდა სოფლიდან სოფელში, უთვალთვალდებდა, სად იდგნენ ფაშისტების ნაწილები და ფურცლებს აფრცვლდებდა.

ერთხელ ბაიკიშში ჯალათთა რაზმი ჩამოვიდა. მათ დაიჭირეს ტიხონის დედა, მისი უმცროსი დები და ვოლკოვსკის ბანაკში წაიყვანეს. ბიკუნას და მის დედას შიმშილით სულს ხდიდნენ, სცემდნენ, უნდოდათ შეეტყუათ, სად იყვნენ პარტიზანები... მაგრამ რაკი ყვარაფერს გახდნენ, ტიხონის დედა გერმანიის გზას გაუყენეს, ტიხონი და მისი დები კი შინ გაუშვეს.

გოგონები მებზობლებმა შეიკედლეს, ტიხონი კი ისევ სოფლიდან სოფელში დადიოდა და კვლავ სამხედრო ცნობებს აწვდიდა პარტიზანებს.

1944 წლის 22 იანვარს სოფელ ბაიკიშს ფაშისტებმა ალყა შემოარტყეს. ყინავდა. ქარბუქი მძინეარებდა. ჯალათებმა ხალხი სახ-

ღებიდან გამოყარეს და სოფლის ბოლოსაკენ გაირეკეს. ტიხონმა გულზე მიიკრა თავისი ღები და ისე მიაბიჯებდა თოვლში.

გესტაპოელმა ბიჭუნა იცნო. სწორედ მან დაპითხა ტიხონი ვოლკოვსკის ბანაკში. ბიჭი გვერდზე გაიხმო და უბრძანა:

— თუ გზას არ გვასწავლი პარტიზანებისაკენ, დაგზვრეტ!

აკანდა ტყვიამფრქვევი. ეცემოდნენ ქაღები, მოხუცები, ბავშვები. ტიხონმა დაინახა, როგორ დაეცნენ მისი ღები თოვლში. სოფელი ვეებერთელა ჭიკოკონასავით ბრიალებდა. ფაშისტებმა 949 კაცი დაგვირტეს. ცოცხალი გადარჩა მხოლოდ ერთი ბიჭუნა— ტიხონ ბარანი.

— გაგვიძეხ!—უბრძანა ოფიცერმა.

— კეთილი, — ცრემლგების ყლავით უბასუხა ტიხონმა, — მე თქვენ გიჩვენებთ...

ის მიდიოდა წინ. ზურგში ფაშისტური ავტომატები ჰქონდა მიშვერილი. ქარბუქი ჩუმქარადა გზებს, უღრან ტყეში ბინდი ჩამოწავდა. გალიის ტყე, აქა-იქ მხოლოდ ჯაგები

და დაბარდნილი კუნძები მოჩანდა. ირგვლივ გაუვალი ქანჭრობი იყო. იანერის ყინვასაც კი ვერ გაეყინა ქაობი.

ტიხონის უკან მიმავალი ჯარისკაცი ლიაში გადავარდა, მეორემ მისი შეგლა მოინდომა და ისიც ჩაყურყუმელავდა.

— სად მოგვიყვანე აქ?! — დაიღრიალა ოფიცერმა და პისტოლეტი იძრო.

— იქ, საიდანაც ვერასოდეს ვერ გამოხვალთ! — შშივდალ მიუგო ტიხონმა, — დედაჩემის, ჩემი ღების, ჩვენი სოფლისათვის მოგეზლოთ სამაგიერო.

გაისმა სროლა.

იმ ზამთრის შემდეგ ოც წელზე მეტი გავიდა. ნახანძრალზე ახალი ბაიკიში გაშენდა. აშრილდნენ ბაღები და ყანები. სახლში, სადაც ახლა ტიხონის მშობლები ცხოვრობენ, ზშირად მოდიან დიდები და პატარები, პიონერები და ოქტომბრელები. ისმენენ ცისფერთვალგა ბიჭუნას ამბავს, რომელმაც საქვეყნოდ ცნობილი ივანე სუსანიანის გმირობა გაიმგორა.





საუკუნე საუკუნესა სცვლიდა; მერვეს—მეცხრე, მეცხრეს—მეათე, მეათეს—მეთერთმეტე, მეთერთმეტეს—მეთორმეტე... თბილისი კი,—კვლავ და კვლავ მტრის ხელში იყო; ისე დაიბადა და გარდაიცვალა არა ერთი დიდი ქართველი, რომ თავისი ქვეყნის დედაქალაქი თვალით არ უნახავს.

თბილისის განთავისუფლებისათვის თავ-თავის დროზე ძალას არ იშურებდნენ საქართველოს მეფენი: ბაგრატ III და IV, მაგრამ ვერა გააწყვეს რა.

მხოლოდ დავით აღმაშენებელმა, დიდგვორთან მოპოვებული სასწაულებრივი გამარჯვების შემდეგ, 1122 წელს იხსნა თბილისი ოთხასწლოვანი ტყვეობიდან.

წელს შესრულდა არაბთა ბატონობისაგან თბილისის განთავისუფლების 850 წლისთავი.

დავით აღმაშენებელი—

მეფე აფხაზთა და მართილთა, რანთა და კახთა, სომხთა, შარვანთა და შაგანთა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა ფლორით მპარობელი.

ე. ი. მეფე დახვდელი საქართველოსი, ქართლისა, ტანისა, კახეთისა, სომხეთისა, შირვანისა და შაქისა...

რანი, შირვანი და შაქი შარვა იმ ბიბიტორიას, რომელშიც დღეს საბურთა აზიბაიანია.



ნახატები ზურაბ ქაპანაძისა

ღავით აღმაშენებლის მკობრული

როს ნაჭარმაგვეს შეუენი შეიღნივე ზურად დამესხნეს,
თურქნი, სზარნი და არაბნი სასღვართა ვარე ვამესხნეს,
თევზნი ამერთა წვალითაგან იმერთა წვალითა შთამესხნეს,
აწე ამათსა მოქმედსა სელინი გულსეგდან დამესხნეს.

არსან ივალთოალი





ნახატები თინათინ სამსონაძისა

ბუზი- ბუზან ქალი

იორაჲ ჯაჲგაღლიჲ

ცხრა მთას იქით?
არა!
არც ღიღი ხნის უწინ...—
აგერ, ცხოვრობს მეზობლად,
ერთი ძუნწუზე ძუნწი.
მის ეზოში
ძროხაც ბღავის,
დეკეულიც ზმუის...
— ღრუტ... ღრუტ!
— მეე... მუუ,—
სულ დგას ჰაი-ჰუი.

რომ კვლევოდე, არც ყველს
მოგცემს,
არც ნაღებს და რძეს...
მაგრამ, მაგრამ...
რაღა მაგრამ,
ერთ მშვენიერ დღეს:



— როგორ თუ ცხენს დააჯღაო,—
შეიშალა ძუნწი,
მოუღერა წალი,
წამოვიდა ძურწვით,—
დაუმიზნა,
დაუმიზნა,
მოუქნია.—ჰობლა!
ბუზანქალი?
აღრინდა!
ცხენი?
ცხენი მოკლა.

* * *

— ბუზ... ბუზ...
— ბუზ... ბუზ...—
ბუზანქალი ბუზის.
— ღრუტ, ღრუტ,
— მეე... მუუ...—
ატყდა ჰაი-ჰუი.

— ბუზ... ბუზ...
ბუზანქალი
ისევ ისევ ბუზის;
— ღრუტ... ღრუტ,
— მეე... მუუ...—
ისევ ჰაი-ჰუი.

ბუზანქალმა შემოხაზა წრე
და ზედ შუბლზე დაასკუბდა...
ცხენს!

ბუზანქალმა მოიხელთა დრო
და ზედ ღინგზე დაასკუბდა...
ღორს!

როგორ თუ ღორს დააჯდაო?—
შეიშალა ძუნწი;
მოულერა წაღლი,
წამოვიდა ძურწვით,—
დაუმინა,
დაუმინა,
მოუქნია,—ჰობლა!
ბუზანკალი?
აფრინდა!
ღორი?
ღორი მოკლა!

ბზზ... ბზზ...
ბუზანკალი
ისევ ისე ბზუის.
— მეე, მუუ...—
ისევ ჰაი-ჰუი.

ბუზანკალიმა გაიკმინდა ხმა
და ზედ შუბლზე დაასკუპდა...
ხარს!
როგორ თუ ხარს დააჯდაო?—
შეიშალა ძუნწი,
მოულერა წაღლი,
წამოვიდა ძურწვით;
დაუმინა,
დაუმინა,
მოუქნია, ჰობლა!
ბუზანკალი?
აფრინდა!
ხარი?
ხარი მოკლა!

— ბზზ... ბზზ...
ბუზანკალი
ისევ ისე ბზუის,
— მეე, მუუ,
— მეე... მუუ...—
ისევ ჰაი-ჰუი.

ბზუილით რომ გული მოიოხა,
ბუზანკალი დაასკუპდა...
ძროხას!

როგორ? ძროხას დააჯდაო?—
შეიშალა ძუნწი;
მოულერა წაღლი,
წამოვიდა ძურწვით,—
დაუმინა,
დაუმინა,
მოუქნია,—ჰობლა!
ბუზანკალი?
აფრინდა!
ძროხა?
ძროხა მოკლა.

ცხრა მთას იქით?
არა!
არც დიდი ხნის უწინ—
ახლაც ცხოვრობს მეზობლად
ერთი ძუნწზე ძუნწი.
რომ კვდებოდე, არც ყველს
მოგცემს,
არც რქესა და ნაღებს;
მაგრამ... მაგრამ...
რალა მაგრამ,—
თქვენი თვალთ ნახეთ,
ალარც ძროხა,
ალარც ცხენი,
ალარც ჰაი-ჰუი...
ბუზანკალი?
ბზზ... ბზზზ...
ისევ ისე ბზუის.



პასო პაპას ქული

ანში პრესანაშვილი

ნახატი ზურაბ შორაჩხიძისა

მატარებელი ბორჯომის ხეობას გასცდა თუ არა, ფერადობებზე შეფენილი სახლებიც გამოჩნდა. აღრიანად გაღვიძებული სოფლები შორიდან ისე მოჩანდა, თითქოს ფუტკარები გამოფენილანო სკეპიდან.

ირმამ და ხათუნამ ბევრი ასეთი სოფელი უნდა გაიარონ, ვერაფერ მატარებელი გაჩერდება, მაგრამ ჩახვლა ექტარებათ და მძიმე ჩემოდნებს თვითონ მიათრევენ ტამბურში.

— ნუ ჩქარობთ!— უკვე მერამდენედ აფრთხილებს დედა, —მატარებელს მაინც ვერ ჩახსწრებთ.

— მზად უნდა ვიყოთ, ხომ შეიძლება მატარებელი ცოტა ხანს გაჩერდეს და ჩახვლა ვერ მოვასწროთ, — თავს იმართლებს ხათუნა.

— რას ამბობ, რას! — ედავება ირმა, — შენ არც კი იცი, რომ სადგურში ვასო პაპა უნდა დაგხვდეს. ვასო პაპა კი სადგურის უფროსია, მატარებელს, სადაც უნდა იქ გააჩერებს, თუ უნდა სულაც აღარ გაუშვებს.

— მატარებელი გაჩერდება და ჩვენც ჩავალთ, — ამბობს ხათუნა, — კიბესთან ვასო პაპა შეგვეგებება. დაგვინახავს თუ არა, იმ ლამაზ ქულს მოიხნის, მიწაზე დაანარცხებს და ხმამაღლა იტყვის: „ვინც მოვიდა, ვაუმარჯოს!“

მამა სიცილს ვეღარ იკავებს. კუბეში მყოფნიც უნებურად იციინან.

— დაანარცხებს მამ, ნამდვილად დაანარცხებს! — დარწმუნებულია ირმაც.

მატარებელი კი მიჰქრის და მიჰქრის. ელმავალი ხან ერთ სოფელს მიაკივლებს, ხან მეორეს, თითქოს უნდა ძილისგულებს სიზმრები დაუფრთხოსო. მაგრამ გოგო-ბიჭებს უკვე მოუსწრიათ ადგომა, გორაკებზე ჩამოხსნდარიან და ხელების ქნევით მიაცილებენ გრძელ ვაგონებს.

ბოლო გაჩერება ყველაზე მეტად გაგრძელდა. არადა არ გამოჩნდა ნაცნობი ბაქანი. უცნაურად აწრიალებული ხათუნა მუდარით შესცქერის მამას და გულმოსული ბუზღუნებს.

— ვეღარ მივედი, მამიკო!

ოი, მემანქანემაც ისმინა მუდარა და მატარებელი ახსე ძლიერ მიაკივლა ბაქანს, რომ შემკერთალმა ვაგონებმა ერთმანეთს გადახედეს. მამამ ღიმილით აიღო ხელში ჩემოდანი და კუპედან გამოვიდა.

— ეხეც თქვენი სოფელი!

ბაქანზე ბევრი ხალხი ირეოდა, მაგრამ ირმამ შორიდანვე იცნო ვასო პაპა, ხელების ქნევით რალაცხს რომ უხსნიდა მემანქანეს. თავზე ის ლამაზი რკინიგზელის ქული ეხურა, მუდამ რომ თან ატარებდა ხოლმე.

რამდენს ოცნებოდნენ კულაქები პაპასთან შეხვედრასზე, იმის ლამაზ ქულზე. ამა, ჩამოვიდნენ კიდევ, პაპა კი ყურადღებას არ აქცევს პატარებს, შორს, ძალიან შორს გაჩერებულია და ელმავალზე ვაღმომდგარ ბიჭს ესაუბრება.

როცა მატარებელი თვალს მოეფარა და ბაქანი დაცარიელდა, მხოლოდ მაშინ მოიცვალა ვასო პაპამ. ღიმილით შორიდანვე გაშალა ხელები:

— ამა, რომელი გამახარებს?

პაპამ იცოდა: ამ სიტყვებზე გოგონები თავქულმოვლელივით გამოზობდნენ ხოლმე, რომ ერთთმეორისათვის დაესწროთ.

ახლა კი ირმა და ხათუნა არც განძრეულან. იღგენ ხმისამოვლებლად და დაბნეულნი შესცქეროდნენ პაპას.

არა, ისინი ნამდვილად არ ელოდნენ ამგვარ შეხვედრას.

ვაოცებულმა ვასო პაპამ სათითოდ აიყვანა ხელში გოგონები, გულში ჩიხებუა, ჩაკოცნა.

— ვინ გაგაბრაზათ? მითხარით ერთი, შვი დღე დავაწიო!

დედა იღიმებოდა, მაგრამ არაფერი უთქვამს. მერე ვასო პაპასთან მივიდა და ყურთ შილად უჩურჩულა. ირმამ შენიშნა, რომ პაპას რუფა-შებში ჩაელიმა, მაგრამ მაინც ვერ მიხვდა, თუ რა უნდა ეთქვა დედას.

ვასო პაპას სახლამდე კარგა გზაა. ჯერ განიერი, მგვრიანი ორღობე უნდა გაიარო, მერე პატარა ბილიკი მოთავდება და ისევ შენი ცისფრად შეღებული შიშკარი. ქიშკართან ქეთო ბეზია იცდის მუდამ, გვერდით კულციკინა ბოთვერა ჩაცუტქდება და ისიც მოთმინებით ელის ქაღალქელი სტუმრების ამობრძანებას.

ახლა კი, ახლა ეს ნაცნობი ეწო მაგრად ჩაუკეტიათ.

არ გამოზობის გახარებული ბებია. ვასო პაპაც ხომ თვალსა და ხელს შუა გაიპარა ბაქინდანვე „ქინტე ჯობდა სულაც არ წამოვსულიყავით“ —



გაიფიქრა ირმამ და ნაღვლიანად გადახედა ხათუნას, მაგრამ შედეგილი ჭიშკარი სწორედ ამ დროს გაიღო. გაიღო და ახმაურებული ეზოც გამოჩნდა, მთელი უბნის ბავშვებს ერთად მოეყარათ თავი. ქეთო ბებოც აქ არის, ბოთვერაც, დიდი, დეზებიანი წითელი მამალიც და გიშერა ბოჩოლაც. ყველაზე ძალიან კი ის ეუცნაურათ გოგონებს, რომ ვასო პაპაც მათთან შენიშნეს, მატარებლის გაჩერებასთან დაკარგული ვასო პაპა.

როგორც კი ირმამ და ხათუნამ ეზოში შეაბიჯეს, ვასო პაპამ თავისი ლამაზი ქული მოი-

ხადა, ძირს დანარცხა და ყველას გასაგონად ხმამაღლა შესძახა:

— ვინც მოვიდა, გაუმარჯოს!
თითქოს ამ სიტყვებს უცდიდაო, ქეთო ბებომ კიბეები ჩამოირბინა და გოგონები საითთაოდ ჩაიკრა გულში.

გახარებულმა ბოჩოლამ მწვანე ბალახს თავი მიანება და ეზოში გაიკუნტრუშ-გამოიკუნტრუშა. ჯიბილიბოლაქლად მამალმა ფრთები გაშალა და ხმამაღლა დაიყვირა—ყიუყიუყო!

— ხომ გეუბნებოდით, ვასო პაპა ქულს დაანარცხებს-მეთქი,—ხმამაღლა ყვიროდა ირმა და სიხარულით ფეხზე იდარ იდგა.

მცხარჩიტას ზღაპარი



კარლი კობარიძე

ნახატები თამაზ ხაშიშვილისა



ვიდრე ზღაპრის მოყოლას დაიწყებდე, მანამდე ერთ გარეულ ფრინველს გაგაცნობთ— გუგულს ეძახიან... გუგული შეიძლება ყველამ იცოდეს, მაგრამ რა უცნაური ფრინველიცა ბრძანდება, ეს კი იქნებ არ გაგეგონოთ. მაინც არაფერს ვაკეთებ და რაღა სხვამ ვითხრაო, ავღლები და ისევ მე მოგიყვებით: გუგული შაშვზე პატარაა, მესკიაზე—დიდი.

სადაც გუგულის „გუ-გუს“ გაიგონებთ, უნდა იცოდეთ: იმ ახლომხლო ხეებს ბუსუსიანი ჭია ახვევია. ამ ჭიებს გუგულის გარდა სხვა ფრინველი პირს არ აკარებს.

ზაფხულში გუგული ყოველ ორ-სამ დღეში ერთხელ კვერცხსა სდებს. მაგრამ რა გინდა რა,—ბუდეს ის არ აკეთებს და კრუხად ის არ ჯდება.

მოიქცევა თუ არა გუგული, კრუხად დამჯდარ მომცრო ფრინველის ბუდეს დაიგულეებს და მის ახლოს, მიწაზე სდებს კვერცხს. მერე მთელი დღე დარაჯობს, კრუხი როდის მოსცილდება ბუდეს. იმ კრუხს რას გამოაპარებ გუგულის ეშმაკობას, ის კიდევ აქეთ უთვალთვალებს—წუთითაც არ ტოვებს ბუდეს. მაგრამ როდემდე გასძლებს მშვიტ-მწყურვალი: წავა საკმლის საძებნელად და, გუგულსაც ეს უნდა—თავის კვერცხს აიღებს ნისკარტით და იმ ჩიტის ბუდეში ჩასდებს ხოლმე.

რამდენჯერაც კვერცხს დასდებს გუგული, იმდენჯერ ასე იქცევა, მაგრამ ერთხელაც არ მომხდარა, ერთ ბუდეში ორი კვერცხი ჩაედოს, ამასაც ეშმაკობით სჩადის.

კრუხი მალე ბრუნდება საშოვრიდან. მაგ-



რამ ვერ ამჩნევს, ბუდეში ერთით მეტი კვერცხი რომ დევს. მერე გამოჩნეს ბარტყებს და ხედავს: ერთს თავიც დიდი აქვს, ჩიჩხვიცა და ფრთებიც. დედა ჩიტსა ჰგონია, ეს ბარტყიც ჩემიაო. ის კი არ იცის, გუგულის კვერცხიდან გუგულის ბარტყი რომ გამოიჩქვა.

დედა ჩიტს მოაქვს ჭიალუა, მაგრამ ის დიდ-თავა ბარტყი იმოდენა პირს აღებს, დედა



კოდვით იწევბა, ძალიან მოშინიაო და აქ-
მეგს და აქმეგს.

ღრო გადის და თანდათან იბუმბლეებიან
ბარტყები, გუგულის ბარტყსაც თანდათან
გმატება მიაღა,—ღვდა ჩიტი ძლივს აუღის
ჭიაღუის მოტანას. აი, მაშინ გუგულის ბარ-
ტყი უღვლოდ დაიგულებს თუ არა ბუდეს,
იმღენს იტრიალებს, იმღენს ეცდება, ერთერთ
ბარტყს მხრით ასწევს, მიაწევბა, ბუდიდან
აგდებს. ასე, ერთიმეორის მიყოლებით ვად-
მოაწყრის ყველას და ბოლოს მარტო თვი-
თონდა რჩება ბუღეში.

გუგულის ბარტყი ახლა უფრო სწრაფად



საქართველო
საბავშვო ჟურნალი

ხელაც მოშინდა, დატოვა ბუღე და საქმლის
საშოვნელად გაფრინდა. მერე რომ დაბრუნ-
და, ერთის ნაცვლად ორი კვერცხი დახვდა,
მაგრამ თვლა არ იცოდა და ამიტომაც ვერ
მიხვდა.

გავიდა ღრო და მწყერჩიტამ ორი ბარტყი
გამოჩეკა: ერთი ჩვეულებრივი ბარტყი იყო—
მწყერჩიტას ბარტყი, მეორეს კი თავიც უფრო
ღიღი ჰქონდა, ჩიჩახვიცა და ფრთებიც.

როცა დაიბუმბლენენ, ღღითავე ბარტყმა
მეორე ბარტყი ბუდიდან ვადმოავლო.

მწყერჩიტას ბარტყი ბალახზე რბილად დღე-
ცა. ფრენა ჯერ არ იცოდა და საშველად
ღვდას დაუძახა; დაუძახა, მაგრამ არ იყო
ღვდა და რას გააგონებდა! მერე, შიმშილმა
რომ შეაწუხა, წიუ-წივით გაკანკალდა წვრი-
ღიანში.

იარა, იარა, ჯაგნარი ვადაიარა, შამზნარი,
ბარღნარი და ერთ იხეს ვადაეყარა, ობობას
ღასღვვდა დასაქვარად.

— შშია და, თუ დაიჭირო, მეც მაქამეო,—
შეეხვეწა მწყერჩიტას ბარტყი.

— ვახ!—გაიოცა იხემა,—მე რომ შშია ხოლ-
მე, შენ როღისა ვთხოვ საქმელსაი?!

— მართლა იხე ყოღილა,—თქვა ბარტყმა
და გზა ვანაგრძო: ნაგზაური ვადაიარა, ნა-



იზრღვბა. მერე ვასაფრენად რომ ვაშღის
ფრთებს, საით მიფართქუნობს, თვითონაც
არ იცის. გვერღით მიძყევბა ღვღობიღი:
უნზობს, ვეფრება, მობრუნღიო, მაგრამ შვი-
ღობიღის არაფერი ვსმის—სხვა ჯრშისაა, სხვა
ზნისაა და იმიტომაც ვერ იღებს ვამზრღელის
წუხიღს.

ის ღვდა ჩიტი ასე რჩება უშვიღოღდ...

სწორღდ ამ ამზის მოყოღა მიწღოღდა. ახღა
წინ რაღა ღამიღღვბა—ღროც ბვერი მაქეს
და მსმენელი ხომ, ნუ იტყვიო!

ვიწყვბ: სმენა იყოღს და ვაგონება.

* * *

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ღვღა
მწყერჩიტა. იმ ღვღა მწყერჩიტამ ერთადღერ-
თი კვერცხი ღადღო და კრუნად დაჯღა. ერთ-



— ბიქო!—დაფეთდა მოლაღური, —მე რო-
მელი მონადირე მნახეო,—ბუღე მიატოვა და
ავარდა ცაში.

მწყერჩიტას ბარტყი ისევ გაიქცა: ღობეზე
გაღახტა, ხრამში ჩახტა, გორაკზე ახტა და
ყვავს წააწყდა—თურმე კაკლი გააგდებინეს
და იმას ეძებდა ყორნეზე.

— მიშველე, ფრთამოტეხილი მიმინო მომ-
ღვესო,—მოიბუზა მწყერჩიტას ბარტყი.

— ვა!—გაიკვირვა ყვავმა,—შენი გულის-
თვის მიმინო რატომ მოვიმღუროო.

შეშინებული მწყერჩიტას ბარტყი უფრო
სწრაფად გაიქცა: ტყეში შევარდა, ვენახიდან
გავარდა, ფერდობზე ავარდა და გუგულს
შეხვდა— რუში ჩავარდნილიყო და მზეზე
შრებოდა.

— მიმინო მომღვეს, მიშველეო.

გუგულს ზედაც არ შეუხვდაეს.

— მიმინო მომღვეს, მიშველეო,—გაუმეო-
რა მწყერჩიტას ბარტყმა.



— გუ... გუ... გული ნუ გამიწყალე!—უყვი-
რა გუგულმა,—ვერა ხედავ, სიცივითა ვკან-
კალეგო.

ისევ გაიქცა მწყერჩიტა: ნაკალოვარს ჩაურ-
ბინა, ნასიმინდარში გაიშლივინა, ნასახლარ-
შიც და ქათამს გადაეყარა—სანაგვესა ქეჭავდა.

— მიმინო მომღვეს, დამმალეო.

— კა... კა... კარგი,—უთხრა ქათამმა და
ტყემაღზე კი აფრთხილდა.

ხოვარი, ნავენახარი და ახლა კიდევ ბატი
შემოხვდა, ბალოახებში დაბაჯბაჯებდა.

— მშია, მაქამე რამეო,—სთხოვა მწყერჩი-
ტას ბარტყმა.

— სსუ!—გაუწყრა ბატი,—მეცა მშია და ეგ
სიტყვა აღარ გამაგონოო.

— მართლა ბატი ყოფილაო,—თქვა ბარ-
ტყმა და გზა განაგრძო: ნაბინავარი გადაია-
რა, ნაბადარი, ნახანძრალი და ვაზის ჩიტე
დაინახა, სილაში ფუტკნაობდა.

— შენ მაინც მაქამე რამეო,—სთხოვა
მწყერჩიტას ბარტყმა.

— ის... ის... ისრამობაა ჯერ და მწიფე
ყურძენი მე სად გიშოვოო?!— უთხრა ვაზის
ჩიტმა და გვერდი შეინაცვლა.

ბვერი იარა თუ ცოტა, წყაროს მიადგა-
წყურვილი რომ მოიკლა, რაღაც ფაჩუნი
მოესმა. მიიხვდა და დაინახა: თურმე უკან
ფრთამოტეხილი მიმინო არ მისდევს! ის მი-
მინო ცალი ფეხითაც კოჭლობს.

დაინახა მიმინო მწყერჩიტამ და, რაც ძალი
და ღონე ჰქონდა, მოკურცხლა. მირბის და
ფიქრობს: ოღონდ ამას გადაეურჩე, შიმშილს
ვიწიაო.

მიმინო კიდევ იმას ფიქრობს, თუ დაევიჭი-
რე, რა გავიხარებ—ჯერ კარგად არ დაბუშ-
ბლულა და სულ ადვილად გავპუტავო.

აღმართი აირბინა მწყერჩიტამ, დაღმართი
ჩაირბინა, ხევი გადაირბინა და მოლაღურიც
დაინახა—ბუღეს აკეთებდა.

— ფრთამოტეხილი მიმინო მომღვეს, დამ-
მალეო,—შეეხვეწა მწყერჩიტას ბარტყი.

ბარტყმა ისევ უკანმოუხედავად მოკურცხლა: ორღობე ამტვერა, დღევ ამღერია, ყანა ააშრიალა და მწყერჩიტაც შემოხვდა— ბუჩქზე წამოსკუბებულიყო და გალობდა.

— მიმინო მომდევს, დამმალეო! — ასძახა ბარტყმა.

მწყერჩიტამ დაინახა ბარტყი, ჩამოფრინდა ბურჩებრიდან და ეკითხება:

— ვინა, ვინ მოგდევსო?

— ფრთამოტეხილი მიმინო მომდევსო.

ისე დაიყვირა მწყერჩიტამ, რაც ქვეყანაზე მწყერჩიტები არიან, მაშინვე იქ გაჩნდნენ.


— რა მოხლათ? — ეკითხეს მწყერჩიტებმა.

— ჩვენ ბარტყს მიმინო დასდევს შესაქმე— ლალო.

— მარტო დაგვანახე, სად არისო, — ძალიან გაბრაზდნენ მწყერჩიტები, მაგას უბატრონო ხომ არ ჰგონიხარო?

მათი მუქარა გაიგო მიმინომ, შებრუნდა და გაიქცა — ამდენ მწყერჩიტას მე როგორ მოვერვვიო.

იმ ბარტყს მწყერჩიტებმა სულ მსუქან-მსუ-



ქანი კალიები აჯამეს, მერე ბუდეში ჩასვეს და მანამდე უვლიდნენ, ვიდრე ისიც ღიღი მწყერჩიტა არ გახდა.

ახლა სადმე თუ დაინახავთ მწყერჩიტას, იცოდეთ: ეს ის მწყერჩიტაა, ერთხელ ერთი კოჭლი და ფრთამოტეხილი მიმინო რომ დასდევდა შესაქმელად.

თუ არა გჯერათ, მიღით და ჰკითხეთ.



შოთარ ავლაძის მიერ დაწერილი

საბავშვო კოლექცია: ანაბრის მონათხრობი, ლილია ვარამ, ჯიბა ლოლა, ვარამ ლოლა, მანკა მანკა მანკა, ირანა მანკა (პ/მ მღვიანა), შალვა მანკა (პ/მ რედაქტორი), მონი მანკა ხაჭ. ალექსანდრე და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რეპუბლიკური საბავშვო ტურნა. ელახე ნახატი რეპუბლიკური მუზეუმის მიერ. გაცემის 45-ე წელი.

ტექნიკური მონათხრობი



მისამართი: რედაქციის გამომცემლობის, სტამბის — თბილისი, ლენინის, 14. ტელ.: ში. რედაქტორის — 93-41-30, 93-98-15; პ/მ მღვიანის — 93-10-32, 93-98-17; საბ. რედაქტორის — 93-98-18; განყოფ. — 93-98-19; სამდივნოს — 93-98-16.

გაზეთი: სასაბავშვო 16/VI-72 წ., ხელშეკრულია დასაბავშვად 26/VI-72 წ., ჯალდის ზომი 60x90, 1/16 ფი. ნაბ. ფურც. 25, ტირაჟი 159.700. ფიც. № 1762. „ძალა“ № 8. ნა გრუზინკომ ვაჟი. ფაბ 20 კაბ.

საქ. კვ. ცა-ის გამომცემლობა
Издательство ЦК КП Грузии

6.8/161

76055



„მეკვა“—ნახ. დალი ნაღობაძისა, 7 წ. თბილისი

„მოტოროლერი“—ნახ. ოთარ ცაგარეიშვილისა, 6 წ. ზესტაფონი.

„მეკვა“—ნახ. თეო გველესიანისა, 8 წ. თბილისი.

„მეკვა“—ნახ. თამარ გველესიანისა, 8 წ. თბილისი.

„დილა“—ნახ. შოთა ცანცაძისა, 6 წ. თბილისი.

„ზღვაზე“—ნახ. ნინო თოშაძისა, 9 წ. თბილისი.

